

1989 წლის სპორტული სეზონი ქალას იკრებს

წიგნი საქართველოს სპორტსმენების წარმატების შესახებ

შევერ ნაპაღდ პოდის სსრ კავშირისა და ასოციაციის სხვადასხვა ქვეყნების მატარებელი

ბიზლირთი

პროფესორი ვანა ქაჯიშვილი, შპრტილიტი!



საქართველოს სსრ უფროსი კალბარისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ФРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 მარტი, შაბათი, 1989 წ. № 58 (9977) შპნი 3 კაბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



სურათზე: მონიკა ტიბოს პრიზის მფლობელი თინათინ ნადირაშვილი; ასპარეზობის ემბლემა.



რჯიში. სპეციალური პრიზი დაიბრუნა ეკა აბრამიამ, როგორც შეჯიბრების ყველაზე მოხდენილმა მონაწილემ. ამ მიღწევამ უსახლგროდ გააღვივა ინტერესი ჩვენი ტანმწვარჯშე-ეხისადმი. ქალბატონ ნელის მოსვენება არ ჰქონდა — კოლეგები სთხოვდნენ რჩევას, ესწრებოდნენ ჩვენი სპორტსმენების ეარჩიშებს. ჭანტყიკიდა ნიადაგი მომავალი ურთიერთობისათვის.

„ბრაშო, ბრაშო!“

ბელაშის პრინცმა ალესანდრ დემეროტმა სწორედ ამ სიტყვებით გადასცა მედლები ქართველ გოგონებს, რომლებმაც გაიმარჯვეს ბელაშის ქალაქ ლუვენ-ლა-ნეუვში ახლახან დამთავრებულ შეჯიბრებაში მხატვრულ ტანვარჯიშში.

— გასული წლის დეკემბერში ჩვენ მივიღეთ მოწვევა ბელაგიდან, გვეუბნება უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური ტანვარჯიშული სკოლის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მზია ჭულელი, — ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მონიკა ტიბოს პრიზზე საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა ტანმწვარჯიშეებიც მიიწვიეს. ქალბატონი მონიკა ტიბო ბელაშის ერთ-ერთი ხანდაზმული მწვრთნელია. იგი თავად არის ამ ტრადიციული ტურნირის ეიურის ხელმძღვანელი. ამჟამად 12 ქვეყნის საუკეთესო ოსტატები გამოიძიოდნენ ტურნირში, მათ შორის იყო სეულის ოლიმპიადის 5 მონაწილე, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ ეს ხუთეული ითვლებოდა ფავორიტად —

კონკურენცია აშკარად ძლიერი გახლდა.

ჩვენს დელეგაციაში ექვსი წევრი შევიდით — სამი სპორტსმენი, ორი მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ნელი სალაძე, მე და მსაჯი — ლანა მეყანაშვილი. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდის სახელით მონაწილე სამივე გოგონა ჩვენი სკოლის აღსაზრდელია. თინათინ ნადირაშვილი და ნატო ლეშაშელი მონაწილეებში გამოიძიოდნენ, ცხრა წლის ეკა აბრამია კი მონაწილთა შორის.

ასპარეზობის პირველი დღიდანვე ბრძოლა იმდენად დიდაა, რომ საჭმე ქულების შეასელებამდე მიდიოდა, ასე გარგეღდა ბოლომდე. მრავალჯერ გაიმარჯვა თინათინ ნადირაშვილმა — 36.6, მეორე ადგილზე გასული ნატო ლეშაშელი მხოლოდ 0.05 ქულით ჩამორჩა თინათინს. სულ კი ხუთჯერ აღეღრდა საბჭოთა კავშირის პიში — მრავალჯერადი გარდა ნადირაშვილი უძლიერესი იყო ლენტო და ბურთით ასპარეზობაში, ლეშაშელი კი — რგოლით და სახტუნებით ვა-

„მეგობრობა-89“

არჩილ ლორთქიფანიძე და ილიკა ჩერნიშოვი

სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო პირველობაზე („მეგობრობა-89“) ონიორ მოფარეკავთა შორის საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოიძიოდნენ საქართველოს სპორტსმენები.



არჩილ ლორთქიფანიძე



ილიკა ჩერნიშოვი

არტმენები. ხმლით ფარიკაობაში უძლიერესის სახელი მოიპოვა არჩილ ლორთქიფანიძე (მწვრთნელი გ. ლორთქიფანიძე), ხოლო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენელს ილიკა ჩერნიშოვს რაპარაში ხვდა პირველი ადგილი (მწვრთნელი რ. ლაღანიძე). ასპარეზობა ბუდაპეშტში ჩატარდა.

სამნი პრტი კპარსსლგებზე

ქარაღელმა სამბისტმა გურამ მღებრიშვილმა გაიმარჯვა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო ახალგაზრდულ (1969-1971 წ. დაბ.) პირველობაზე, რომელიც გროდნოში გაიმართა. მ. მღებრიშვილი (მწვრთნელი გრიგოლ მურაშაშვილი და სპორტეკინორიძე), რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო, პირველობდა 100 კგ წონით კატეგორიაში.

საპატიო კვარცხლბეკზე მას გვერდით ამოუდგნენ თანაგუნდელები. ქარაღელი გია თოთლაძე და ლენტეხელი როლანდ ლიპარტელიანი — შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები.

კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი



თბილისელ ემზარ ჩიგოევის (74 კგ) წილად მიიღის. ჩვენს გუნდს ხელმძღვანელობდა ანზორ ზურაბაშვილი.

სურათზე: გურამ მღებრიშვილი.



კაბი კახიაშვილი გრიგოლ ჩუბინიძე

ბაგანროში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირალი პირველობა ძალოსნობაში ახალგაზრდებს შორის. ამ შეჯიბრებას უნდა დავსახელებინა ამივე ასაკის ძალოსანთა მსოფლიო პირველობაზე გამგზავრების კანდიდატები. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი კაბი კახიაშვილი შეჯიბრების დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ავად გახდა გრიპით და ფი-

როლანდ ხვადაგიანის „ოქრო-პერსული“

დასავლეთ გერმანიის დედაქალაქ ბონის დაარსების 2000 წლისთავი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად აქ გაიმართა დიდი ფესტივალი, რომლის პროგრამაში მოცურავეთა შეჯიბრებაც იყო. ასპარეზობაში თორმეტი ქვეყნის, მათ შორის დასავლეთ გერმანიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, იტალიის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ასპარეზობდნენ. ისინი 25-მეტრიან აუზში ცდიდნენ ძალას.

საბჭოთა ნაკრების სახელით სსრ კავშირის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების გუნდი გამოიძიდა. მის შემადგენლობაში თბილისელი როლანდ ხვადაგიანიც იყო.

როლანდი 200 მეტრზე თავიუფალი სტილით ცურვაში მხოლოდ ლენინგრადელ დიმიტრი ლევიკოს ჩამორჩა. ლევიკოვმა 1.40,90 აჩვენა, ხოლო ხვადაგიანმა — 1.50,70.

ხვადაგიანი თანაგუნდელებთან ერთად ძალას ცდიდა თავისუფალი სტილით მოცურავეთა ესტაფეტაშიც, სადაც უძლიერესის სახელი მოიპოვა.

საინტერესოა, რომ თბილისელმა სპორტსმენმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც ნახევარფინალში საუკეთესო დრო — 52,90 აჩვენა (გდრ-ის ერთ-ერთ წარმომადგენელსაც იგივე დრო ჰქონდა). ფინალში გასასულიყალ მათ შორის მოეწყო დამატებითი გაცურვა. აქაც ორივემ... კვლავ ერთნაირი შედეგი — 52,60 — აჩვენა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხვადაგიანს აუზის



ვედლებზე ხელი ერთი ამოსუნთქვით აღრე შეუხია და ფინალში ჩვენი მოცურავე გაიგდა. ბუნებრივია, დამატებითა ცდა ხვადაგიანს დიდი ენერჯია წაართვა და გადაწყვეტ ბრძოლაში სხვა ფინალისტებს მასთან შედარებით ჭერ კიდევ სტარტამდე ჰქონდა უირატესობა. საბოლოოდ ხვადაგიანმა ფინალში 51 ადგილი დაიკავა.

სურათზე: როლანდ ხვადაგიანი ავთანდოლ გურასაშვილის ფოტო

ქართული კალოსნაების ახალი წარმატება

ცარნაგზე დასუსტებული, წონდაკლებული გამოვიდა. მიუხედავად ამისა, ქართველმა სპორტსმენმა ვერცხლის მედალი მოიპოვა (167,5; 207,5; 372,5). თავის შესაძლებლობებზე უფრო იასპარეზა საჩხერელმა ძალოსანმა გრიგოლ ჩუბინიძემ. მან ატაცში ოქროს მეციურ მედალი მოიპოვა და საბოლოო ჯამში მესამე ადგილს დასჯერდა — 365 კგ (170+195).

დიდი გაპოსდა


სასწავლო წარუმატებელი ფაქტის ანთორ კიხიძის სახელობის მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი მხოლოდ მეოთხე წელია ტარდება, მაგრამ უკვე ბევრ პერსპექტიულ ძიუდოისტს დაულოცა გზა „დიდი სპორტი“. აქ გამარჯვებული ნორჩი მოჭიდავეები უკვე უძლიერეს ძიუდოისტთა შორის იმედი რეგენ ადგილს.

ტრადიციულად ბევრი ნიჭიერი მოჭიდავე მონაწილეობს რიგით მე-4 შეჯიბრებაში, რომელიც გუშინ დაიწყო თბილისის სპორტის სასახლეში. ესენი არიან ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის, გერმანიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს

ნაკრები გუნდების წევრები (1972-1974 წლებში დაბადებულნი). ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტთა წარმატებები საყოველთაოდაა ცნობილი და რეზერვაცი იმედის მომცემი გეგმავს. ტურნირზეც ყველაზე მეტი მოჭიდავე საქართველოს გუნდის წარმომადგენელია. მათი რაოდენობა 100-ს აღემატება. საკმაოდ დიდი გუნდი გამოდის საქართველო ნაკრების სახელით.


იმ მიზნით, რომ სამოციოდ უცხოელი მოჭიდავე რიცხოვროს უმცირესობის გამო არათანაბარ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს, შემუშავებულია თავისებური „სამართლიანობის დებულება“: საწყის ეტაპზე ისინი ცალკე ჯგუფში არიან გა-

ნაწილებულნი და დამარცხების შემთხვევაშიც კი აგრძელებენ ბრძოლას ქვეჯგუფში საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენთან ერთად. შემდეგ უკვე შერეულდებიან, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჩვეულებრივ არის მიღებული. ქაბუთა შეჯიბრება, უფროსებისგან განსხვავებით, 9 წონით კატეგორიაში მიმდინარეობს (49, 53, 57, 62, 68, 74, 83, 90 და +90 კგ). პირველი და ბოლო ორი წონა ახლა დაემატა ქაბუთა ტურნირების პროგრამას.



თბილისში დახასრულს უახლოვდება სსრ კავშირის თახის პირად-გუნდური გათამაშება თანამედროვე ხუთბრუნო. 80 მონაწილეს შორისაა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი ანატოლი სტარობინი (მოსკოვი) და ხუთის ოლიმპიადის მონაწილე ლენინგრადელი გერმან იუფოვი. თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს, რადგან იგი უცხოეთში გამოდიოდა. ჩვენი რესპუბლიკის ხუთბრუნოთაგან თახის გათამაშებაში გამოიღიან დინამოელები ვლადიმერ ლორთქიფანიძე და ნოდარ შამოვი, პრიორიტეტითა სპორტსაზოგადოების წარმომადგენელი რევაზ ლობიჯიანი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



გუზინ...

სადამოს ჩატარდა გადამწყვეტი შეხვედრები 49, 53 და 57 კგ წონით კატეგორიებში. გაცნობებით პრიორიტეტ ვინაობას.

49 კგ. 1. კანა ლუზარაული (ახმეტა); 2. ვარდან ვოსკანიანი (სსრკ); 3. შალვა დორეული და მეგლუდ მეღაძე (ორივე — თბილისი).

53 კგ. 1. ვიორგი ვახაგვიანი (გორი); 2. ზვიად ლემეტრაშვილი (თბილისი); 3. თემურ როსტიაშვილი (საგარეო) და სებასტიან ჰემელი (გერმ.).

57 კგ. 1. მამუკა აბრამიშვილი (ახმეტა); 2. რამაზ ზედენიძე (რუსთავი); 3. ბექა ნარიშკაშვილი (თბილისი) და შტეფან ვალი (გერმ.).

ვაპუკა წააღებურთელთა საკავშირო პირველობა



გაპარჯებოთ ღაინაგ

გუზინ თბილისში, ვაის საცურაო აუზში დაიწყო 1971-72 წლებში დაბადებულ წააღებურთელთა საკავშირო პირველობა, რომელშიც

რესპუბლიკურ ასპარეზობებში გამარჯვებული გუნდები გამოდიან. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას თბილისის „ღინაგის“ აღსაზრდელები იცავენ. მათ გარდა თბილისში სასპარეზოდ ჩამოვიდნენ მოსკოვის „იუნოსტის“, ლენინგრადის „ბალტიკის“, კიევის „ღინაგის“, ტაშკენტის „მუნაჩატის“ და გორკის „ტრუდის“ გუნდები.

მასპინძელთა პირველი მეტოქე „მუნაჩატ“ იყო. მათი შეხვედრა თანაბარი ბრძოლით დაიწყო. ასე გაგრძელდა მეორე პერიოდამდე, როცა სტუმრები მინიმალური ანგარიშით 5:4 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ თბილისელებმა ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდეს, მეტოქე თან კარში ზედინულ ექვსი უპასუხო ბურთით გაიტანეს და გამარჯვდნენ.

ასპარეზობის პირველ დღეს „იუნოსტის“ სძლია „ტრულს“ — 15:5, ხოლო „ბალტიკამ“ — კიევის „ღინაგს“ — 12:5.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ლიტვინი კლუბს აბრძობენ

უაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე მორიგი ტურის მატჩები გაიმართა.

ბაუნასი. „უალვირისმა“ მეორე შეხვედრაც მოუგო ლენინგრადის „სპარტაკს“ — 114:84 (61:40).

ვილინსი. ადგილობრივი „სტატინასა“ და ტალინის „კალვისი“ თავისებურ მიკრო-მატჩში მეტოქეებმა ქულები თანაბრად გაიყვეს. პირველ ორთამბრძოლაში ესტონე-

ლმა კალათბურთელებმა იმარჯვეს 86:65 (41:33), მეორეში — მასპინძლებმა 107:93 (54:44).

ღონეცვი. გაიმართა გამოტოვებული შეხვედრა „შახტორსა“ და კიევის „სტროიტელს“ შორის. უკრაინის დელაქაქაის კალათბურთელებმა პირველი მატჩი საკმაოდ დამაჯერებლად მოიგეს — 111:89 (49:53).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა	24 მარტისთვის
„სტროიტ.“ (კ.)	33 27 6 60
„ღინაგო“ (მ.)	38 21 17 59
„უალ.“ (კაუნ.)	30 28 2 58
ახვ (ალმა-ათა)	34 28 11 57
„სტატ.“ (ვილნ.)	38 18 20 56
ცსკა	31 20 11 51
„ღინაგო“ (თბ.)	36 15 21 51
„კალვი“ (ტალ.)	32 16 16 48
რტი (მინსკი)	32 14 18 46
ვეფ (რიგა)	37 8 29 45
„შახტ.“ (დონ.)	35 9 26 44
„სპარტ.“ (ლენ.)	36 7 29 43

საპატიო პრიზებს ინანილენ

პროკის კალათბურთელთა სამსკულბო ტურნირში გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

პროკის თახი (ვაიკები). საპატიო ჯილდოსთვის აქ იუგოსლავიის „პარტიზანი“ და იტალიის „ვივა“ (ქალაქი კანტუ) იბრძოდნენ. პირველი მატჩი იტალიელებმა საკუთარ მოედანზე 13 ქულით მოიგეს — 89:76, მაგრამ ეს საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. „პარტიზანმა“ ბელგრადში უფრო დიდი სხვაობით (19 ქულით) სძლია მეტოქეს — 101:82 (54:43) და თახი მოიპოვა.

ლილიან რონკაძის თახი (ქალაქი). ვერძის საკულბო ტურნირში ექვსი საბჭოთა გუნდი მონაწილეობდა, მაგრამ ფინალში გზა მხოლოდ ერთმა გაიკაფა. დანარჩენები ასპარეზობას სხვადასხვა ეტაპზე გამოეთიშნენ. რონკაძის თახის ფინალში მოსკოვის ცსკა და იტალიის (მილანი)

„ჯემინი“ იბრძოდნენ. საბჭოთა კალათბურთელებმა პრინციპული შეხვედრა მოიგეს 92:86 (45:44) და ჯილდოსაც დაეპატრონენ.

ჩემპიონთა თახი (ქალაქი). აქ სპეციალისტები უპირატესობას თახის მრავალგზის მფლობელს ვინჩენცეს (იტალია) „პრემიჯის“ ანიჭებდნენ, მაგრამ მოხდა სენსაცია და ფინალურ მატჩში შედარებით უცნობმა გუნდმა იუგოსლავიის „ილანტივადამ“ გაიმარჯვა — 74:70 (37:35).

ჩემპიონთა თახი (ვაიკები). მოსკოვში ადგილობრივმა არმიელებმა ამ გათამაშების ნახევარფინალური ტურნირის ბოლო მატჩი ჩაატარეს და დამარცხდნენ საფრანგეთის „ლიმოივი“ 116:97 (54:53). აღნიშნულ შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა არც ერთი გუნდისთვის. ცსკა-ცა და „ლიმოივი“ საპატიო პრიზისთვის ბრძოლას კარგა ხანია გამოეთიშნენ.

პროკის საკალათბურთო მოედნებზე

პესკა — 102:73, „ჰუვენტუდი“ — „კაკოლიტი“ 93:98.

დამთავრდა კალათბურთში ესპანეთის ჩემპიონატის წინასწარი თამაშები, რომლის შედეგადაც გაირკვა იმ რვა უძლიერესი გუნდის ვინაობა, რომლებიც გააგრძელებენ დავის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის. ესენი არიან: „ბარსელონა“, „რეალი“, „ჰუვენტუდი ბადალონა“, „კაი სარაგოსა“, „კაკოლიტი“, „ფეროლი“, „მაგია პესკა“, „კაიადერონა“.

ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაცია კი წინა ტურში მოხდა. „რეალი“ მადრიდში წააგო „ჰუვენტუდი ბადალონასთან“ 73:93. „რეალის“ წაგება, ისიც საკუთარ მოედანზე და ასეთი დიდი ანგარიშით, ყოველთვის აღიქმება როგორც საგანგებო შემთხვევა.

უძლიერესთა ტურნირის სამი თამაშიდან ხუთი ქულით ერთმანეთს ითხო გუნდი ლიდერობს: „ბარსელონა“, „რეალი“, „კაი სარაგოსა“ და „ჰუვენტუდი ბადალონა“.

(30 ქულა), მომდევნო ადგილებზე არიან „ენიკემი“ (28) და „ბენეტონი“ (28), მათ ოდნავ ჩამორჩებიან „კინრო“ (26), „ლივარესე“ (26), „ფილიპისი“ (26), „სენაილერი“ (26), „ვივა“ (24).

ბოლო ტურებში შესამჩნევად დათმო პოზიციები ჩემპიონატის ლიდერმა მილანის „ფილიპისმა“, თუმცა ბოლო ტურში მილანში მან პრინციპული მატჩი მოუგო ბოლონის გუნდს „კინროს“ — 93:68. ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა „ენიკემმა“ საკუთარ მოედანზე მოულოდნელი მარცხი იწვნია ერთ-ერთ აუტსაიდერთან „ალნოსთან“ შეხვედრაში 88:91.

იუგოსლავია

ქვეყნის ჩემპიონატში განვლო 17 ტურმა. 13 გამარჯვებით ლიდერობს სპლიტი „იუგოსლავია“. მეორე-მესამე ადგილებზე არიან ბელგრადის „პარტიზანი“ (12) და სარაევოს „ბოსნა“ (12). ერთი გამარჯვებით ნაკლები აქვს „ზადარს“, (11) და „ცრვენა ზვეზდას“ (11).

ჩემპიონატის ლიდერმა „იუგოსლავიამ“ სპლიტში დაამარცხა აუტსაიდერი „პარტიზანი“ — 101:71. ბელგრადის „პარტიზანმა“ სძლია „მიტენას“ — 109:91. საკუთარ მოედანზე ლიუბლიანას „ოლიმპიათან“ პრინციპული მატჩი მოიგო სარაევოს „ბოსნამ“ — 72:68.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-12 ტირაჟების შედეგები, რომლებიც 19 მარტს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: დაშვებულია 2104468 ვარიანტი. ექვსი ციფრი ვერაფერ გამოიხილა. ხუთი ციფრის გამოცხადების (31 ვარიანტი) მოგება 3168 მანეთია, ოთხისთვის (4987) — 18, სამისთვის (42561) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-იდან: დაშვებულია 21440424 ვარიანტი. ხუთი ციფრის გამოცხადებისთვის (23 ვარიანტი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (7603) — 128, სამისთვის (286868) — 7.

მე-12 ტირაჟების მოგებები გაიცემა 1989 წლის 3 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით.

ჩვენს რესპუბლიკაში მოგებები ასე განაწილდა: „6 45“-იდან: ექვსი და ხუთი ციფრი ვერაფერ გამოიხილა. 4 — 98, 3 — 907.

„5 36“-იდან: ხუთი ციფრი გამოიხილა 1 კაცმა (თბილისი), 4 — 183, 3 — 7361.

ჩემპიონთა თახი

ჩემპიონთა თახი (ვაიკები). მოსკოვში ადგილობრივმა არმიელებმა ამ გათამაშების ნახევარფინალური ტურნირის ბოლო მატჩი ჩაატარეს და დამარცხდნენ საფრანგეთის „ლიმოივი“ 116:97 (54:53). აღნიშნულ შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა არც ერთი გუნდისთვის. ცსკა-ცა და „ლიმოივი“ საპატიო პრიზისთვის ბრძოლას კარგა ხანია გამოეთიშნენ.

გაზილიდა

ფეხბურთელებმა ახალი მწვრთნელის ს. ლაზარონის ხელმძღვანელობით ქალაქ კუბაში პირველი ამხანაგური მატჩი ითამაშეს ეკვადორის გუნდთან და ფრადი მოკრძალებულ წარმატებას მიაღწიეს — 1:0. ერთადერთი გოლი მე-19 წუთზე გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა უამინგრონმა.

აღნიშნავენ, რომ ბრაზილიელები მოქმედებდნენ ნული ტემპით, ტექნიკური თუ ტაქტიკური შეცდომებით, გარდა ამისა, მატჩზე დასწრე 54 ათასმა მაყურებელმა უსამსობაც იხილა: ბრაზილიელებმა და ეკვადორელი ტენორი მინდვილიდან გააძევეს ერთმანეთთან ჩხუბისთვის, მათ გარდა კიდევ სამმა ფეხბურთელმა დაიშაურა გაფრთხილება.

ს. ლაზარონის აზრით გუნდის ასეთი უფერული თამაში განპირობებულია ნაკრებში „ვეროპელი ბრაზილიელების“ არყოფნით. ნაკრების შესარჩევი მატჩებისთვის გუნდში აუცილებლად უნდა იყვნენ ქულო სეზარი, ტიტა, ვალდო, რეხარტა და კარეკა.

ჩემპიონთა თახი

ჩემპიონთა თახი (ვაიკები). მოსკოვში ადგილობრივმა არმიელებმა ამ გათამაშების ნახევარფინალური ტურნირის ბოლო მატჩი ჩაატარეს და დამარცხდნენ საფრანგეთის „ლიმოივი“ 116:97 (54:53). აღნიშნულ შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა არც ერთი გუნდისთვის. ცსკა-ცა და „ლიმოივი“ საპატიო პრიზისთვის ბრძოლას კარგა ხანია გამოეთიშნენ.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპუტატებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩემპიონთა თახი: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, მერანი — 93-97-26, მართვე — 93-97-27.

53360 064360 86435

საქართველოს კმ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ორხეტური წესით სავაჭრო კორპუსში: სომხარული, 29.

ჩემპიონთა თახი: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, მერანი — 93-97-26, მართვე — 93-97-27.